ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 515

“20” ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო მაღლაფერიძისთვის (პ/ნ. 01006013904) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო მაღლაფერიძისთვის (პ/ნ. 01006013904) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1 ოქტომბრის №23.1499.1649 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.18.03.003.025) პირდაპირი განკარგვის წესით ნინო მაღლაფერიძისთვის (პ/ნ. 01006013904) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 33 840 (ოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე